დახმარება
ფეცი დან

ფსალმუნი 22

1. საგალობელი დავითისა უფალი ჩემი მწყემსია, არაფერი არ მომაკ-ლდება.

2. ხასხასა მოლზე განმასვენებს და წყნარ წყლებზე წარმიძღვება მე.

3. სულს დამიწყნარებს, სიმართლის კვალზე დამაყენებს თავისი სახელის გულისათვის.

4. წყვდიადის ველზეც რომ ვიარო. ბოროტისა არ მეშინია; რამეთუ შენ ხარ ჩემთან; მანუგეშებენ შენი კვერთხი და შენი საყრდენი.

5. მოაწყე ტაბლა ჩემს წინაშე შენს მტერთა თვალწინ, ზეთი სცხე ჩემს თავს; სავსეა თასი ჩემი პირთამდე.

6. ასე სიკეთე და წყალობა დამდევს კვალდაკვალ მთელი სიცოცხლის მანძილზე. და დავმკვიდრდები უფლის სახლში დღეთა მრავალთა.

მაგრამ ღმერთი თავის სიყვარულს ჩვენდამი ამტკიცებს იმით, რომ ქრისტე მოკვდა ჩვენთვის, როცა ჯერ კიდევ ცოდვილნი ვიყავით. *რომ. 5 : 8*

პასექის დღესასწაულამდე, იცოდა რა იესომ, რომ ამ ქვეყნიერებიდან მამასთან მისი გადასვლის ჟამი მოვიდა, როგორც შეიყვარა თავისები, ქვეყნიერებაზე ისე ბოლომდე უყვარდა ისინი. *იოან. 13 : 1*

კვლავ აგაშენებენ და აშენებული იქნები, ისრაელის ქალწულო, კვლავ შეამკობენ შენს დაირებს და მხიარულად იროკებ. *იერ. 31 : 3*

და იესო ქრისტესაგან, რომელიც ერთგული მოწმეა, პირმშო მკვდართაგან და მიწიერ მეფეთა მთავარი, მას, რომელმაც შეგვიყვარა და საკუთარი სისხლით დაგვიხსნა ჩვენი ცოდვებისაგან.

გაოც. 1 : 5

რამეთუ ისე შეიყვარა ღმერთმა ქვეყნიერება, რომ მისცა თავისი მხოლოდშობილი ძე, რათა ყოველი მისი მორწმუნე არ დაიღუპოს, არამედ ჰქონდეს საუკუნო სიცოცხლე. *იოან. 3 : 16*

იმაზე მეტი სიყვარული არავის გააჩნია, ვიდრე ვინც თავის სულს დასდებს თავისი მეგობრებისათვის.

იოან. 15 : 13

და უცილობლად დიდია ღვთისმოსაობის საიდუმლო: ღმერთი გამოჩნდა ხორცში, გამართლებულ იქნა სულში, დანახულ იქნა ანგელოზების მიერ, ნაქადაგები წარმართებში, ამაღლებულ იქნა რწმენით ქვეყანაზე და ამაღლდა დიდებაში. *1 ტიმ. 3 : 16*

დასაწყისში იყო სიტყვა; და სიტყვა იყო ღმერთთან; და სიტყვა იყო ღმერთი. და სიტყვა გახდა ხორცი და დამკვიდრდა ჩვენს შორის მადლითა და ჭეშმარიტებით აღსავსე; ჩვენ ვიხილეთ მისი დიდება, როგორც მამისაგან მხოლოდშობილის დიდება. *იოან. 1 : 1, 14*

ყოველივე ეს მოხდა, რათა აღსრულდეს უფლის ნათქვამი წინასწარმეტყველის მიერ, რომელიც ამბობს: აი, ქალწული დაორსულდება, გაუჩნდება ძე და დაარქმევენ მას სახელად იმანუელს, რაც თარგმნით ნიშნავს: ღმერთი ჩვენთანაა.

მათ. 1 : 22, 23

მე და მამა ერთი ვართ. *იოან. 10 : 30*

იესომ უთხრა მას: რახანია თქვენთან ვარ და ვერ მიცნობ ფილიპე? ვინც მე მიხილა, იხილა მამა. როგორღა ამბობ, გვიჩვენე მამაო? განა არ გწამს, რომ მე მამაში ვარ, და მამა ჩემში? სიტყვებს, რომლებსაც წარმოვთქვამ ჩემგან არ ვამბობ. ჩემში მყოფი მამა აკეთებს თავის საქმეებს. *იოან. 14 : 9, 10*

ვინც ამბობს, რომ იესო არის ძე ღმერთისა, ღმერთი მასში რჩება და ის — ღმერთში. *1 იოან. 4 : 15*

ანგელოზმა მიუგო პასუხად: სულიწმიდა მოვა შენს ზედა და უზენაესის ძალა დაგჩრდილავს. ამიტომ წმიდა შობილიც იწოდება ძე ღმერთისად. *ლუკ. 1 : 35*

რადგან შეგვეძინა შვილი, მოგვეცა ძე და უფლობა იყო მის ბეჭებზე, ეწოდა სახელად საკვირველი მრჩეველი, ღმერთი ძლიერი, მარადისობის მამა, მშვიდობის მთავარი. *ეს. 9 : 5*

ვიდრე ის ჯერ კიდევ ლაპარაკობდა, აი, ნათელმა ღრუბელმა დაჩრდილა ისინი, და, აი, ამბობს ხმა ღრუბლიდან: ეს არის ჩემი საყვარელი ძე, რომელშიც ჩემი სათნოებაა; უსმინეთ მას. *მათ. 17 : 5*

მან უთხრა პასუხად: ვინაა იგი, უფალო, რომ ვიწამო? იესომ უთხრა: შენ გინახავს იგი და შენ გელაპარაკება. *იოან. 9 : 36, 37*

ვინაიდან მასშია დამკვიდრებული სხეულებრივად ღვთაების მთელი სისავსე. *კოლ. 2 : 9*

უთხრა მათ: თქვენ ქვემოთაგანი ხართ, მე ზემოთაგანი ვარ. თქვენ ამქვეყნიური ხართ, მე — არაამქვეყნიური. იესომ უთხრა მათ. ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ. სანამ აბრაამი იქნებოდა, მე ვარ. *იოან. 8 : 23, 58*

დედაკაცმა უთხრა: ვიცი, რომ მოდის მესია, რომელსაც ეწოდება ქრისტე, ის რომ მოვა, ყველაფერს გაგვიცხადებს. უთხრა მას იესომ: ეს მე ვარ, რომელიც გელაპარაკება შენ. *იოან. 4 : 25, 26*

იესომ უთხრა მათ: მე ვარ პური სიცოცხლისა. ჩემთან მომსვლელს არ მოშივდება და ჩემს მორწმუნეს არასოდეს არ მოსწყურდება. *იოან. 6 : 35*

სანამ ქვეყნიერებაზე ვარ, ქვეყნიერების სინათლე ვარ. *იოან. 9 : 5*

იესომ უთხრა მას: მე ვარ აღდგომა და სიცოცხლე, ჩემი მორწმუნე რომ მოკვდეს კიდეც, გაცოცხლდება. *იოან. 10 : 27*

თქვენ მე მიწოდებთ მოძღვარს და უფალს, სწორად ამბობთ, რადგან მე ვარ. *იოან. 11 : 25*

> იესომ უთხრა: მე ვარ გზა და ჭეშმარიტება და სიცოცხლე, მამასთან ვერავინ მივა,
> თუ არა ჩემს მიერ. *იოან. 14 : 6*

უბრძანა ხალხს ბალახზე დასხდომა, აიღო ხუთი პური და ორი თევზი, ზეცას ახედა, აკურთხა, დაამტვრია და მისცა პურები მოწაფეებს, მოწაფეებმა კი — ხალხს. ყველამ ჭამა და გაძღა; და დარჩენილი ნატეხები აიღეს თორმეტი სავსე გოდორი. ხოლო ისინი, ვინც ჭამა, დაახლოებით ხუთი ათასი კაცი იყო, გარდა დედაკაცებისა და ბავშვებისა.

მათ. 14 : 19–21

სიმონმა პასუხად მიუგო: მოძღვარო, მთელი ღამე ვიშრომეთ და ვერაფერი დავიჭირეთ. მაგრამ შენი სიტყვის თანახმად ვისვრი ბადეს. ასეც მოიქცნენ. ძალიან ბევრი თევზი მოამწყვდიეს და ბადეები უსკდებოდათ.

ლუკ. 5 : 5, 6

და, აი, ორი ბრმა, რომლებიც გზის პირას ისხდნენ, როგორც კი გაიგონეს, იესო აქეთ მოდისო, აყვირდნენ და ამბობდნენ: შეგვიწყალე ჩვენ, უფალო, ღვთის ძე! იესომ . . . უთხრა: რა გნებავთ, რომ გაგიკეთოთ? უთხრეს მას: უფალო, თვალები რომ აგვეხილოს, შეებრალა იესოს ისინი და შეეხო მათ თვალებს. მყისვე აეხილათ და გაჰყვნენ მას.

მათ. 20 : 30, 32 ბ–34

ღმერთში, რომელმაც ყოველივე იესო ქრისტეთი შექმნა. *ეფ. 3 : 9 ბ*

ვინაიდან მასში შექმნა ყოველი, რაც ცაში და დედამიწაზეა, ხილული და უხილავი; ტახტები და ბატონობა, მმართველობანი და ძალაუფლებანი — ყველაფერი მის მიერ და მისთვის არის შექმნილი. *კოლ. 1 : 16*

ყოველივე შექმნილია მის მიერ; და მის გარეშე არაფერი შექმნილა, რაც კი შექმნილა. *იოან. 1 : 3*

და ყოველმა ენამ აღიაროს, რომ იესო ქრისტე არის უფალი, მამა ღმერთის სადიდებლად. *ფილ. 2 : 11*

ღმერთი . . . ამ უკანასკნელ დღეებში გველაპარაკა ძის მიერ, რომელიც დააყენა ყოვლის მემკვიდრედ, ვისი მეშვეობითაც შექმნა საუკუნენი. *ებრ. 1 : 1 ა, 2*

ამრიგად მტკიცედ იცოდე მთელმა სახლეულმა ისრაელისამ, რომ ღმერთმა გახადა უფლად და ქრისტედ ეს იესო, რომელიც თქვენ ჯვარს აცვით. *საქ. 2 : 36*

რამეთუ იმისათვის მოკვდა ქრისტე და გაცოცხლდა, რომ იუფლოს მკვდრებზეც და ცოცხლებზეც. *რომ. 14 : 9*

ერთგულია ღმერთი, რომლისგანაც იქნით მოწოდებულნი მის ძესთან, ჩვენს უფალ იესო ქრისტესთან საზიაროდ. *1 კორ. 1 : 9*

მაშ, შენ რატომ ასამართლებ შენს ძმას? ანდა რატომ ამცირებ შენს ძმას? ჩვენ ხომ ყველანი წარვდგებით ღმერთის სასამართლოს წინაშე.
რომ. 14 : 10

ამრიგად, ვამოწმებ ღმერთისა და ქრისტე იესოს წინაშე, რომელიც გაასამართლებს ცოცხლებსა და მკვდრებს თავისი გამოჩენითა და თავისი სასუფევლით. *2 ტიმ. 4 : 1*

ხოლო როცა მოვა ძე კაცისა თავისი დიდებით და ყველა ანგელოზი მასთან, მაშინ დაჯდება თავისი დიდების ტახტზე. და შეკრებილი იქნება მის წინაშე ყველა ერი, და გამოარჩევს ერთიმეორისაგან, როგორც მწყემსი გამოარჩევს ცხვრებს თხებისაგან. *მათ. 25 : 31, 32*

რადგან, მამა არავის არ ასამართლებს, არამედ მთელი სასამართლო ძეს გადასცა. *იოან. 5 : 22*

იმ დღეს, როცა ჩემი სახარების მიხედვით, ღმერთი გაასამართლებს იესო ქრისტეს მიერ ადამიანთა საიდუმლოებებს. *რომ. 2 : 16*

და გვიბრძანა ჩვენ ვუქადაგოთ ხალხს და ვუმოწმოთ, რომ ის არის ღმერთის მიერ დანიშნული ცოცხალთა და მკვდართა მსაჯულად. *საქ. 10 : 42*

მე ვარ კარი: ვინც შედის ჩემით გადარჩება. და შევა და გამოვა და საძოვარს იპოვის. *იოან. 10 : 9*

იესომ უთხრა: მე ვარ გზა და ჭეშმარიტება და სიცოცხლე. მამასთან ვერავინ მივა, თუ არა ჩემს მიერ. *იოან. 14 :6*

ამიტომ გითხარით: რომ თქვენს ცოდვებში დაიხოცებით; რადგან თუ არა გწამთ, რომ მე ვარ, თქვენს ცოდვებში დაიხოცებით. *იოან. 8 : 24*

და სრულყოფილად გამხდარი, მარადიული გადარჩენის მიზეზი შეიქმნა ყველა მისი მორჩილისათვის. *ებრ. 5 : 9*

ვინაიდან ყველამ შესცოდა და მოკლებულნი არიან ღმერთის დიდებას. და უსასყიდლოდ მართლდებიან მისი მადლით ქრისტე იესოს მიერ გამოსყიდვით.

რომ. 3 : 23, 24

ამიტომაც ძალუძს გადაარჩინოს ყველა, ვინც მისი შუამდგომლობით მიუახლოვდება ღმერთს, ვინაიდან ცოცხალია მუდამ რათა უშუამდგომლოს მათ.

ებრ. 7 : 25

> და არ არსებობს გადარჩენა არც ერთ სხვაში, არც არის ცის ქვეშ ხალხისათვის მოცემული სხვა სახელი, რომლითაც ჩვენ უნდა ვიქნეთ გადარჩენილნი. *საქ. 4 : 12*

იმიტომ, რომ ღმერთმა დაგვადგინა არა რისხვისათვის, არამედ გადარჩენის მისაღებად ჩვენი უფლის იესო ქრისტეს საშუალებით. *1 თეს. 5 : 9*

იმისგან ხართ თქვენ ქრისტე იესოში, რომელიც გახდა ჩვენთვის სიბრძნედ ღმერთისაგან, სიმართლედ, განსაწმენდად და გამოსყიდვად. *1 კორ. 1 : 30*

რომელმაც თავი დასდო ჩვენთვის, რომ გამოვესყიდეთ ყოველგვარი უსჯულოებისაგან და განეწმინდა თავისთვის განსაკუთრებული ხალხი, კეთილი საქმეების მოშურნე. *ტიტ. 2 : 14*

უმადლოდეთ მამას, რომელმაც წმიდანთა მემკვიდრეობაში მონაწილეობის ღირსი გაგვხადა ნათელში, რომელმაც გვიხსნა სიბნელის ძალაუფლებისაგან და შეგვიყვანა თავისი საყვარელი ძის სასუფეველში, რომელშიც ჩვენ გვაქვს მისი სისხლით გამოსყიდვა და ცოდვების მიტევება. *კოლ. 1 : 12–14*

ვინაიდან ძე კაცისა მოვიდა დაკარგულის მოსაძებნად და გადასარჩენად. *ლუკ. 19 : 10*

და გალობენ ახალ საგალობელს და ამბობენ: შენ ღირსი ხარ, წიგნი აიღო და მისი ბეჭდები გახსნა, ვინაიდან შენ დაიკალი და შენი სისხლით გამოგვისყიდე ღმერთისათვის ყოველი ტომისა და ენისაგან და ხალხისა და ერისაგან. *გამოც. 5 : 9*

იარეთ სიყვარულში, ისევე, როგორც ქრისტემ შეგვიყვარა ჩვენ და თავისი თავი მისცა ჩვენთვის ღმერთს შესაწირავად და მსხვერპლად, სასიამოვნო კეთილსურნელებად. *ეფეს. 5 : 2*

ახლა კი, როცა მისი სისხლით გავმართლდით, მით უფრო გადავრჩებით მისი რისხვისაგან. *რომ. 5 : 9*

რომლის მიერ გვაქვს გამოსყიდვა მისი სისხლით, ცოდვების მიტევება თავისი მადლის სიმდიდრით. *ეფეს. 1 : 7*

ვინაიდან ეს არის ჩემი სისხლი (ახალი) ალთქმისა, მრავალთათვის რომ იღვრება ცოდვების მისატევებლად. *მთ. 26 : 28*

იცით რა, რომ არა ხრწნადი ვერცხლით ან ოქროთი იქენით გამოსყიდულნი მამებისაგან გადმოცემული ამაო გზისაგან. არამედ ქრისტეს ძვირფასი სისხლით როგორც უბიწო და უმანკო ტარიგისა. *1 პეტ. 1 : 18, 19*

ხოლო თუ სინათლეში დავდივართ, როგორც ის არის სინათლეში, მაშინ მოზიარეობა გვაქვს ერთმანეთთან და მისი ძის იესო ქრისტეს სისხლი გვწმენდს ყოველგვარი ცოდვისაგან. *1 იოან. 1 : 7*

მით უმეტეს ქრისტეს სისხლი, რომელმაც საუკუნო სულით შესწირა ღმერთს თავისი უბიწო თავი, განწმენდს ჩვენს სინდისს მკვდარი საქმეებისაგან ცოცხალი ღმერთის სამსახურისათვის. *ებრ. 9 : 14*

არამედ ვიქადით ღმერთით ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მეშვეობით, რომლის მეშვეობითაც მივიღეთ ახლა შერიგება. *რომ. 5 : 11 ბ*

ვინაიდან მადლით ხართ გადარჩენილები რწმენის მეშვეობით და არაა ეს თქვენგან. ღმერთის ნიჭია. არა საქმეებით, რათა არავინ დაიკვეხნოს.

ეფეს. 2 : 8, 9

მაშასადამე, რაკი რწმენით გავმართლდით, მშვიდობა გვაქვს ღმერთთან ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ.

რომ. 5 : 1

ვინაიდან ქრისტეში ძალა არა აქვს არც წინადაცვეთას, არც წინადაუცვეთლობას, არამედ სიყვარულით მოქმედ რწმენას. *გალ. 5 : 6*

იწამე უფალი იესო და გადარჩები შენც და მთელი შენი სახლეულობაც.

საქ. 16 : 31 ბ

ვინაიდან, ყოველი, ღმერთისაგან შობილი სძლევს ქვეყნიერებას; და ეს არის ძლევა, ქვეყნიერების მძლეველი — ჩვენი რწმენა. *1 იოან. 5 : 4*

და უთხრეს მას: როგორ მოვიქცეთ, რომ საქმენი ღმერთისა ვაკეთოთ? იესომ უთხრა მათ პასუხად: ესაა საქმე ღმერთისა, რომ ირწმუნოთ იგი, ვინც მან წარმოგზავნა. *იოან. 6 : 28, 29*

ეს კი დაიწერა, რათა იწამოთ, რომ იესო არის ქრისტე, ძე ღმერთისა, და რათა რწმენით გქონდეთ სიცოცხლე მისი სახელით.

იოან. 20 : 31

კურთხეულია ღმერთი და მამა ჩვენი უფლის იესო ქრისტესი, მოწყალების მამა და ყოველი ნუგეშის ღმერთი.

2 კორ. 1 : 3

რომელ ღმერთს მოუთმენია შენს გარდა უკეთურება და უპატიებია ცოდვა თავიწყალობის მოყვარულია.

მიქ. 7 : 18

რამეთუ ზეცაზე დიდია წყალობა შენი და ღრუბლებამდეა ჭეშმარიტება შენი. *ფს. 107 : 5*

არ დაილევა უფლის მადლი, არ შეწყდება მისი წყალობები; განახლდება ყოველ სისხამზე, დიდია შენი იმედი.

გოდ. იერემიასი 3 : 22, 23

რამეთუ, რაოდენ ცა მაღალია დედამიწაზე, მისი წყალობაც ძლიერია მის მოშიშთა მიმართ. ხოლო წყალობა უფლისა უკუნითი უკუნისამდეა მის მოშიშთა მიმართ, და მისი სიმართლე — შვილთა შვილებზე. ვინც იცავს მის აღთქმას . . . . *ფს. 102 : 11, 17, 18 ა*

მან გვიხსნა არა სიმართლის საქმეთა გამო, რომლებიც ჩვენ ჩავიდინეთ, არამედ თავისი წყალობით, ხელახლა შობის განბანით და სულიწმიდის მიერ განახლებით.

ტიტ. 3 : 5

მერე მოდითდა ციკობა ვყოთ, ამბობს უფალი: მეწამულიც რომ იყოს თქვენი ცოდვები, თოვლივით გასპეტაკდება; ჭიაფერივით წითელიც რომ იყოს, მატყლის ფთილასავით გახდება.

ეს. 1:18

სული და პატარძალი ამბობენ: მოდი! მომსმენმაც თქვას: მოდი! მწყურვალი დაე მოვიდეს და მსურველმა დაე უსასყიდლოდ აიღოს სიცოცხლის წყალი.

გამოც. 22 : 17

ჰოი მწყურვალნო, ყველანი წყალთან მიდით, და ვერცხლის უქონელნო, წადით, იყიდეთ და ჭამეთ! წადით და იყიდეთ უვერცხლოდ და უსასყიდლოდ ღვინო და რძე!

ეს. 55:1

დღესასწაულის უკანასკნელ დიდ დღეს ადგა იესო, — შესძახა და თქვა: თუ ვინმეს სწყურია, მოვიდეს ჩემთან და დალიოს.

იოან. 7 : 37

ეს რომ შეამჩნია იესომ, გაწყრა და უთხრა მათ: გამოუშვით ბავშვები და ხელს ნუ უშლით მოვიდნენ ჩემთან, ვინაიდან მაგათნაირებისაა ღმერთის სასუფეველი.

მარკ. 10 : 14

მოდით ჩემთან, ყოველნო მაშვრალნო და ტვირთმძიმენო, და მე დაგამშვიდებთ თქვენ.

მათ. 11 : 28

ამით შეიცნობიან ღმერთის შვილნი და ეშმაკის შვილნი: ყოველი ვინც კი არ იქმს სიმართლეს, იგი არ არის ღმერთისაგან, და ისიც, ვისაც თავისი ძმა არ უყვარს. *1 იოან. 3 : 10*

რამეთუ, ისინი ვისაც ღმერთის სული წარმართავს, ღმერთის ძენი არიან; ვინადან არ მიგიღიათ მონობის სული, რათა კვლავ შიშში იყოთ, არამედ მიღებული გაქვთ შვილობის სული, რომლითაც ვღაღადებთ: აბბა, მამაო! *რომ. 8 : 14, 15*

რათა იყოთ უბიწონი, და სუფთანი, ღმერთის უმანკო შვილები ჭირვეულ და უკუღმართ თაობას 'შორის, რომელშიც თქვენ ანათებთ, როგორც მნათობები სამყაროში. *ფილ. 2 : 15*

ამიტომ გამოდით მათგან და გამოეყავით, ამბობს უფალი, უწმინდურს ნუ მიეკარებით, და მე მიგიღებთ თქვენ. და ვიქნები თქვენთვის მამა, და თქვენ იქნებით ჩემთვის ძენი და ასულნი, ამბობს უფალი ყოვლისმპყრობელი. *2 კორ. 6 : 17, 18*

ხოლო ყველას, ვინც მიიღო იგი, მისი სახელის მორწმუნეს, მისცა ძალაუფლება გამხდარიყვნენ ღმერთის შვილები. *იოან. 1 : 12*

ხორცის საქმეები აშკარაა. ეს არის: სიძვა, უწმინდურება და თავაშვებულობა, სიძულვილი, მკვლელობა, ლოთობა, გაუმაძღრობა და სხვა ასეთი; გეუბნებით წინასწარ, როგორც ადრე გითხარით, რომ ასე მოქმედნი ღმერთის სასუფეველს ვერ დაიმკვიდრებენ. *გალ. 5 : 19, 21*

როგორც დღისით, მოვიქცეთ თავდაჭერილად: არა მსუნაგობით და ლოთობით, არა ლოგინებითა და თავაშვებულობით, არა ჩხუბითა და შურით, არამედ შეიმოსეთ უფალ ქრისტეში და ხორცზე ზრუნვა არ აქციოთ გულისთქმებად.

რომ. 13 : 13, 14

ვაი მათ, დილაადრიანვე დასალევს რომ ეძებენ და გვიანობამდე ღვინით ხურდებიან. *ეს. 5 : 11*

ნუ დახარბდები ღვინის სიწითლეზე, ფიალაში რომ ნაპერწკლებს ისვრის და მორაკრაკებს; ბოლოს გველივით კბენს და ასპიტივით გესლავს.

იგავ. 23 : 31, 32

ღვინო კაცს ამასხრებს, ლუდი შფოთს ატეხინებს, ვინც მათ ეტანება, უგუნურია.

იგავ. 20 : 1

ხოლო მან უთხრა მას: შეიყვარე უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა. ეს არის დიდი და პირველი მცნება. *მათ. 22 : 37, 38*

როცა გზაზე გამოდიოდა, ერთი ვინმე მდიდარი გამოიქცა მისკენ, მუხლი მოიყარა მის წინაშე და ვედრებით უთხრა: კეთილო მოძღვარო, რა ვქნა, რომ საუკუნო სიცოცხლე დავიმკვიდრო? ხოლო იესომ უთხრა: რატომ მიწოდებ მე კეთილს? არავინ არის კეთილი გარდა ერთისა — ღმერთისა. იცი მცნებანი: არ იმრუშო, კაცი არ მოკლა, არ მოიპარო, არ იყო ცრუ მოწმე, ნუ მოატყუებ, პატივი ეცი შენს მამას და დედას. მან მიუგო: მოძღვარო, ყოველივე ამას ჩემი ახალგაზრდობიდან ვიცავდი. იესომ შეხედა მას, შეუყვარდა და უთხრა: ერთი გაკლია: წადი, რაც გაქვს გაყიდე და მიეცი ღარიბებს და გექნება საუნჯე ზეცაში. მოდი და გამომყევი. მაგრამ ის შეწუხდა ამ სიტყვებზე და დანაღვლიანებული წავიდა, ვინაიდან ბევრი მამულები ჰქონდა. *მარკ. 10 : 17–22*

არის გზა, კაცს სწორი რომ ჰგონია, მაგრამ მისი ბოლო სიკვდილის გზაა. *იგავ. 16 : 25*

ნუ მოტყუვდებით, ღმერთი არ შეურაცხყოფს, ვინაიდან, კაცი რასაც დათესავს, იმას მოიმკის. *გალ. 6 : 7*

შვილნო, ნურავინ გაცდუნებთ. სიმართლის მოქმედი მართალია, ისევე, როგორც ის არის მართალი. ვინც ცოდვას სჩადის, იგი ეშმაკისაგან არის, რამეთუ თავდაპირველად ეშმაკმა შესცოდა.
1 იოან. 3 : 7, 8 ა

ნუთუ არ იცით, რომ უმართლონი ვერ დაიმკვიდრებენ ღმერთის სასუფეველს? თავს ნუ მოიტყუებთ: ვერც მეძავნი, ვერც კერპთაყვანისმცემლები, ვერც მრუშნი, ვერც მხდალნი, ვერც მამათმავალნი; ვერც მპარავნი, ვერც ანგარნი, ვერც ლოთნი, ვერც მლანძღველნი, ვერც მტაცებელნი — ვერ დაიმკვიდრებენ ღმერთის სასუფეველს. *1 კორ. 6 : 9, 10*

არავინ გაცდუნოთ ფუჭი სიტყვებით, ვინაიდან ამისათვის ღვთის რისხვა მოდის ურჩ ძეებზე. *ეფეს. 5 : 6*

იყავით სიტყვის შემსრულებელნი და არა მხოლოდ მომსმენნი თავის მოსატყუებლად. *იაკ. 1 : 22*

ვინაიდან, ვისაც თავისი თავი რაიმე ჰგონია და არაფერს წარმოადგენს, ის თავის თავს ატყუებს. *გალ. 6 : 3*

ვინაიდან ბევრი მოვა ჩემი სახელით და იტყვის: მე ქრისტე ვარ; და მრავალს შეაცდენენ. *მათ. 24 : 5*

ამიტომ, როგორც ერთი ადამიანის მიერ ცოდვა შემოვიდა ქვეყნიერებაზე, ხოლო ცოდვის მიერ — სიკვდილი, ასევე სიკვდილი გადავიდა ყველა ადამიანში, იმიტომ, რომ ყველამ შესცოდა ამაში. *რომ. 5 : 12*

შემდეგ ჩაისახება გულისთქმა და შობს ცოდვას. ჩადენილი ცოდვა კი წარმოშობს სიკვდილს. *იაკ. 1 : 15*

რამეთუ ხორციელი ფიქრები სიკვდილია, ხოლო სულიერი ფიქრები — სიცოცხლე და მშვიდობა, იმიტომ, რომ ხორციელი ფიქრები ღმერთის მტრობაა; ვინაიდან არ ემორჩილება ღმერთის სჯულს და არც შეუძლია. *რომ. 8 : 6, 7*

ცოდვილი სული უნდა მოკვდეს, შვილი მამის დანაშაულის გამო არ უნდა დაისაჯოს არც მამა შვილის დანაშაულის გამო არ უნდა დაისაჯოს; მართლის სიმართლე მასზე იქნება, ბოროტეულის სიბოროტე მასზე იქნება. *იეზ. 18 : 20*

მაგრამ უნდა ვხარობდეთ და ვმხიარულობდეთ, ვინაიდან შენი ძმა მკვდარი იყო და გაცოცხლდა, დაკარგული იყო და გამოჩნდა. *ლუკ. 15 : 32*

სიმართლეს სიცოცხლისაკენ მიჰყავს კაცი, ბოროტების ამყოლი კი თავისი სიკვდილისაკენ მიექანება. *იგავ. 11 : 19*

ვინაიდან ცოდვის საზღაური სიკვდილია. *რომ. 6 : 23 ა*

და განწესებულ იქნა ღმერთის ძედ — ძალაში, სიწმინდის სულით, მკვდრეთით აღდგომით, — ჩვენ უფალ იესო ქრისტეზე.
რომ. 1 : 4

და ეს რომ თქვა, დიდი ხმით დაიძახა: ლაზარე, გამოდი! გამოვიდა მიცვალებული, ხელ-ფეხი სახვევებით ჰქონდა შეკრული და სახეც სუდარით ჰქონდა შეხვეული. იესო ეუბნება მათ: გახსენით, გაუშვით იაროს! *იოან. 11 : 43, 44*

იმიტომ ვუყვარვარ მამას, რომ მე ჩემს სიცოცხლეს ვდებ, რათა ისევ მივიღო იგი. ვერავინ წამართმევს მას. მაგრამ მე თვით ვდებ მას. მე მაქვს ძალაუფლება დავდო იგი და მაქვს ძალაუფლება კვლავ მივიღო იგი. ეს მცნება მამაჩემისაგან მივიღე.
იოან. 10 : 17, 18

მივიდა და შეეხო ცხედარს. გამსვენებლები შედგნენ და მან თქვა: ჭაბუკო, შენ გეუბნები, ადექ! მკვდარი წამოჯდა და იწყო ლაპარაკი. *ლუკ. 7, 14, 15 ა*

და ცოცხალი, და მკვდარი ვიყავი და, აი, ცოცხალი ვარ უკუნითი უკუნისამდე. და მაქვს სიკვდილისა და ჯოჯოხეთის გასაღები. *გამოც. 1 : 18*

ხოლო უკანასკნელი მტერი მოისპობა — სიკვდილი. *1 კორ. 15 : 26*

ნუ გეყოლება სხვა ღმერთები ჩემს წინაშე.

ნუ გაიკეთებ კერპს რაიმე გამოსახულებას იმისას, რაც მაღლა ცაშია და რაც დაბლა დედამიწაზე, და რაც წყალშია, მიწის ქვევით. ნუ სცემ თაყვანს მათ და ნუ ემსახურები. . .

ნუ ახსენებ ფუჭად უფლის, შენი ღმერთის სახელს, რადგან არ დაინდობს უფალი თავისი სახელის ფუჭად მხსენებელს.

დაიცავი შაბათი დღე, რომ წმიდად შეინახოთ იგი, როგორც უფალს, შენს ღმერთს უბრძანებია.

პატივი ეცი შენს მამას და შენს დედას, როგორც გიანდერძა უფალმა, შენმა ღმერთმა. . .

კაცი არ მოკლა.

არ იმრუშო.

არ იქურდო.

არ გამოხვიდე ცრუმოწმედ შენი ახლობლის წინააღმდეგ.

არ მოინდომო ახლობლის ცოლი, არ ისურვო ახლობლის სახლი, არც მისი ყანა, არც მისი ყმა, არც მისი ყმაქალი, არც მისი ხარი, არც მისი სახედარი, არაფერი მისი საბადებლიდან. *მეორე რჯლ. 5 : 7–18*

რადგან მისი თვალი კაცის გზებს დაჰყურებს და ხედავს მის ყოველ ნაბიჯს; ვერც ბნელში, ვერც შავეთში ვერ დაიმალება ბოროტმოქმედი. *იობ. 34 : 21, 22*

სამალავშიც რომ დაიმალოს კაცი, ვერ დავინახავ? ამბობს უფალი. განა მე არ ვავსებ ცასა და მიწას? ამბობს უფალი. *იერ. 23 : 24*

საით წაუვალ შენს სულს და შენს სახეს სად გავექცევი? თუ ავიდე ზეცაში იქ შენა ხარ; და ჩავიდე ჯოჯოხეთში — აგერ შენ! სიბნელეც ვერ დამჩრდილავს შენგან და ღამე დღესავით გაანათებს, ვითარცა სიბნელე, ისევე სინათლე. *ფს. 138 : 7, 8, 12*

ყველგან უფლის თვალებია, ხედავენ უკეთურებს და კეთილებს. *იგავ. 15 : 3*

და არ არის არსება მისგან დაფარული, არამედ ყოველივე გაშიშვლებული და ღიაა მის თვალთა წინაშე, ვისაც ვაბარებთ ანგარიშს. *ებრ. 4 : 13*

ვინაიდან არ არსებობს დაფარული, რომელიც ცხადი არ გახდება, არც საიდუმლო, რომელიც არ გამჟღავნდება და არ გაცხადდება. *ლუკ. 8 : 17*

ვინაიდან გამოგზავნის ძე კაცისა თავის ანგელოზებს და მოაგროვებენ მის სამეფოდან ყოველ მაცდურობას და უსჯულოების მომქმედს. და ჩაყრიან მათ ცეცხლის ქურაში; იქნება იქ ტირილი და კბილთა ღრჭენა. *მათ. 13 : 41, 42*

დაუბრუნდებიან ბოროტნი ჯოჯოხეთს, ყველა ერი, ვინც დაივიწყა ღმერთი. *ფს. 9 : 18*

ხოლო ახლანდელი ცანი და დედამიწა, რომელნიც იმავე სიტყვით ინახებიან, გამზადებულნი არიან ცეცხლისათვის ულმერთო კაცთა გასამართლებისა მოსპობის დღისათვის. *2 პეტ. 3 : 7*

ვინც სასჯელად მიუზღავს მარადიულ დაღუპვას უფლის სახისაგან და მისი ძლიერების ძალის დიდებით. *2 თეს. 1 : 9*

თუ გაცდუნებს შენი ხელი ან შენი ფეხი, მოიკვეთე და გადააგდე შენგან; უმჯობესია შენთვის დასახიჩრებული ან კოჭლი შეხვიდე სიცოცხლეში, ვიდრე ორი თვალი გქონდეს და ჩაგდებულ იქნე ცეცხლოვან გეენაში. *მათ. 18 : 8*

და წავლენ ესენი საუკუნო სატანჯველში, ხოლო მართალნი — საუკუნო ცხოვრებაში. *მათ. 25 : 46*

ვინაიდან მან დანიშნა დღე, როდესაც მსოფლიოს გაასამართლებს სიმართლით წინასწარ დანიშნული კაცის საშუალებით, და დაუმოწმა ყველას იმით, რომ აღადგინა იგი მკვდრეთით. *საქ. 17 : 31*

ვინაიდან იცის ღმერთმა, როგორ იხსნას განსაცდელისაგან ღვთისმოსავნი, ხოლო უმართლონი შეინახოს გასამართლების დღისათვის დასასჯელად. *2 პეტ. 2 : 9*

ვინაიდან ჩვენ ყველანი უნდა გამოვცხადდეთ ქრისტეს სამსჯავროს წინაშე, რათა თითოეულმა, მიიღოს იმის მიხედვით, რასაც სხეულის სიცოცხლის დროს აკეთებდა — კეთილს თუ ბოროტს. *2 კორ. 5 : 10*

სიყვარულმა ჩვენში მიაღწია ისეთ სრულყოფას, რომ ჩვენ გაბედულება გვაქვს გასამართლების დღეს, რადგან როგორც ისაა, ჩვენც ისუთივე ვართ ამქვეყნად. *1 იოან. 4 : 17*

და როგორც ადამიანებს დაუწესა ერთხელ სიკვდილი და იმის შემდეგ გასამართლება. *ებრ. 9 : 27*

და ვიხილე მკვდრები, დიდები და პატარები, რომლებიც ტახტის წინ იდგნენ, წიგნები გადაიშალნენ; და გადაიშალა სხვა წიგნი, რომელიც სიცოცხლის წიგნია; და გასამართლდნენ მკვდრები წიგნში დაწერილის მიხედვით მათი საქმეებისამებრ. *გამოც. 20 : 12*

ამრიგად, ყოველი ჩვენთაგანი საკუთარი თავისთვის ანგარიშს ჩააბარებს ღმერთს. *რომ. 14 : 12*

მაგრამ მადლი არაა დანაშაულივით, რადგან თუ ერთის დანაშაულით მრავალი გაწყდა, მით უმეტეს ბევრად ჭარბობს მრავალთა მიმართ ღმერთის მადლი და ნიჭი ერთი კაცის, იესო ქრისტეს მადლით. *რომ. 5 : 15*

ამრიგად, ეს დამოკიდებულია არა მსურველზე და არა მცდელზე, არამედ შემწყალე ღმერთზე. *რომ. 9 : 16*

რადგან ღმერთი ამპარტავნებს ეწინააღმდეგება, თავმდაბლებს კი მადლს ანიჭებს. *1 პეტ. 5 : 5 ბ*

ვინაიდან თქვენ იცით ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მადლი, რომ ის მდიდარი, თქვენი გულისათვის გაღატაკდა, რათა თქვენ გამდიდრებულიყავით მისი სიღატაკით. *2 კორ. 8 : 9*

ხოლო სადაც ცოდვა გამრავლდა, მას გადააჭარბა მადლმა, რათა როგორც ცოდვა სუფევდა სიკვდილით, ასევე მადლი მეფობდეს — სიმართლის მეოხებით მარადიული სიცოცხლისათვის — ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ. *რომ. 5 : 20 ბ, 21*

მოციქულები დიდი ძალით მოწმობდნენ უფალ იესო ქრისტეს აღდგომას; და დიდი მადლი იყო ყველა მათგანზე. *საქ. 4 : 33*

ამგვარად, ღმერთმა უგულებელყო უმეცრების ჟამი და ახლა აუწყებს ადამიანებს: ყველას ყველგან — მოინანიონ.
საქ. 17 : 30

არა, გეუბნებით: თუ არ მოინანიებთ, ყველანი ისევე დაიღუპებით.
ლუკ. 13 : 13

და ამბობდა: მოინანიეთ, ვინაიდან მოახლოებულია სასუფეველი ცათა.
მათ. 3 : 2

ხოლო პეტრემ უთხრა მათ: მოინანიეთ, და ყოველი თქვენთაგანი მოინათლოს იესო ქრისტეს სახელით ცოდვების მისატევებლად, და მიიღებთ სულიწმიდის ნიჭს. მაშ, მოინანიეთ და მოიქეცით, რომ წაიშალოს თქვენი ცოდვები.
საქ. 2 : 38; 3 : 19

მოიშორეთ ყველა თქვენი შეცოდება, რაც ჩაგიდენიათ. *იეზ. 18 : 31 ა*

ვინც თავის ცოდვებს მალავს, ხელი არ მოემართება, ხოლო ვინც მათ აღიარებს და მიატოვებს, შეწყალებული იქნება.
იგავ. 28 : 13

ვინაიდან ღმერთის გულისათვის დანაღვლიანება წარმოშობს მონანიებას გადასარჩენად, რომელზეც არავინ ინანებს, ხოლო ამქვეყნიური ნაღველი სიკვდილს წარმოშობს. *2 კორ. 7 : 10*

თუ ბოროტეული განუდგება ყველა თავის ცოდვას, რაც ჩაუდენია, დაიცავს ყველა ჩემს წესს და სამართლიანად და სიმართლით მოიქცევა, ჭეშმარიტად იცოცხლებს. *იეზ. 18 : 21*

მიატოვოს ბოროტეულმა თავისი გზა და ცოდვილმა კაცმა — თავისი ზრახვები, მიაქციოს უფლისაკენ და ის შეიწყალებს მას, და ჩვენი ღმერთისაკენ, რადგან მრავალგზის მიმტევებელია. *ეს. 55 : 7*

ვინაიდან თუ თქვენ მიუტევებთ ადამიანებს მათ შეცოდებებს, თქვენც მიგიტევებთ თქვენი ზეციერი მამა. *მათ. 6 : 14*

იხილა რა იესომ მათი რწმენა, უთხრა დავრდომილს: შვილო მოგეტევა შენი ცოდვები. *მარკ. 2 : 5*

მის გამო ცოდვების მიტევება გეუწყებათ. იგი წინამძღვრად და მაცხოვრად აღამაღლა ღმერთმა თავისი მარჯვენით, რომ მიეცეს ისრაელს მონანიება და ცოდვების მიტევება. *საქ. 13 : 38 ბ; 5 : 31*

აი, ვდგავარ კართან და ვაკაკუნებ. თუ ვინმე მოისმენს ჩემს ხმას და გაალებს კარს, შევალ მასთან; მე მასთან ვივახშმებ და ის ჩემთან. *გამოც. 3 : 20*

და ექადაგათ მისი სახელით მონანიება ცოდვათა მისატევებლად ყველა ერში, დაწყებული იერუსალიმიდან. *ლუკ. 24 : 47*

ვინაიდან გამოჩნდა ღმერთის მადლი, ყველა ადამიანის მხსნელი, რომელიც გვასწავლის, რომ უარვყოთ უღმერთოება და ამქვეყნიური გულისთქმანი, რათა ვიცხოვროთ ამ წუთისოფელში აზრიანად, სიმართლით და ღვთისმოსაობით. *ტიტ. 2 : 11, 12*

ზეციერზე იფიქრეთ და არა მიწიერზე. *კოლ. 3 : 2*

და ნუ მიიღებთ მონაწილეობას სიბნელის უნაყოფო საქმეებში, პირიქით, ამხილეთ. *ეფეს. 5 : 11*

ნუ შეიყვარებთ ქვეყნიერებას, ნურც იმას, რაც ქვეყნიერებაზეა: ვისაც ქვეყნიერება უყვარს, მასში არ არის მამის სიყვარული. ვინაიდან ყოველივე, რაც ქვეყნიერებაზეა — ხორციელი გულისთქმა, თვალთა გულისთქმა და ამაო დიდება ცხოვრებისა — მამისაგან კი არა, ქვეყნიერებისაგან არის. *1 იოან. 2 : 15, 16*

მრუშნო, განა არ იცით, რომ ქვეყნიერების მეგობრობა ღმერთის მიმართ მტრობაა? მაშ, ასე, ვისაც ქვეყნიერების მეგობრობა უნდა იგი ღმერთის მტერი ხდება. *იაკ. 4 : 4*

განიბანეთ, განიწმინდეთ, ავი საქმეები თვალთაგან განმარიდეთ, შეწყვიტეთ ბოროტის ქმნა. *ეს. 1 : 16*

მოგცემთ ახალ გულს და ახალ სულს ჩაგიდგამთ შიგნით; ამოგაცლით ქვის გულს სხეულიდან და ხორცის გულს ჩაგიდგამთ. *იეზ. 36 : 26*

თუ იცით, რომ ის მართალია, ისიც იცოდეთ, რომ ყოველი სიმართლის მოქმედი მისგან არის შობილი. ვიცით, რომ ყოველი ღმერთისაგან შობილი არ სცოდავს; ხოლო ღმერთისაგან შობილი იცავს თავის თავს და ბოროტება ვერ ეკარება. *1 იოან. 2 : 29; 5 : 18*

. . . მაგრამ განიბანეთ, მაგრამ წმიდად გახდით, მაგრამ გამართლდით ჩვენი უფლის იესო ქრისტეს სახელით და ჩვენი ღმერთის სულით. *1 კორ. 6 : 11 ბ*

იესომ მიუგო მას პასუხად: ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნები შენ: თუ ვინმე მაღლიდან არ იშობა, ვერ შეძლებს ღმერთის სასუფევლის ხილვას. *იოან. 3 : 3*

მაშასადამე, ის, ვინც ქრისტეშია, ის ახალი ქმნილებაა; ძველმა განვლო და ახლა ყოველივე ახალია. *2 კორ. 5 : 17*

როგორც ხელახლადშობილი არა ხრწნადი თესლისაგან, არამედ უხრწნადისაგან, ღმერთის სიტყვით, რაც ცოცხლობს და რჩება. *1 პეტ. 1 : 23*

და თქვენც, მკვდრები რომ იყავით თქვენი დანაშაულით და ცოდვებით, და მკვდრეთით აღგვადგინა მასთან ერთად და ზეცაშიც დაგვხსა ქრისტე იესოში.
ეფეს. 2 : 1, 6

რომელმაც ჩვენი ცოდვები თვითონვე აზიდა ძელზე თავისი სხეულით, რათა სიმართლისათვის ვიცოცხლოთ ცოდვისათვის მკვდრებმა, მისი ჭრილობებით თქვენ განიკურნეთ. *1 პეტ. 2 : 24*

მაშასადამე, თუ თქვენ აღდექით ქრისტესთან ერთად, ეძიეთ მაღლა, სადაც ქრისტე ზის ღმერთის მარჯვნივ; ზეციერზე იფიქრეთ და არა მიწიერზე. ვინაიდან თქვენ დაიხოცეთ და თქვენი სიცოცხლე დაფარულია ქრისტესთან ღმერთში. როცა გამოჩნდება ქრისტე, თქვენი სიცოცხლე, მაშინ თქვენც გამოჩნდებით მასთან ერთად დიდებით.
კოლ. 3 : 1–4

მათ, ვინც ქრისტესნი არიან, ჯვარს აცვეს თავიანთი ხორცი ვნებებთან და გულისთქმებთან ერთად. თუ სულით ვცოცხლობთ სულითვე უნდა ვიაროთ.
გალ. 5 : 24, 25

ჩვენ, რომელნიც მოვუკვდით ცოდვას, როგორღა ვიცხოვროთ მასში? თქვენც ასევე ჩასთვალეთ თქვენი თავი ცოდვისათვის მკვდრებად და ღმერთისათვის ცოცხლებად. *რომ. 6 : 2, 11*

ვინც თავის ხორცისათვის თესავს, ხორცისაგან მოიმკის გახრწნას, ხოლო ვინც სულისათვის თესავს, სულისაგან მოიმკის მარადიულ სიცოცხლეს. *გალ. 6 : 8*

და როგორც მოსემ აღამაღლა გველი უდაბნოში, ისევე უნდა ამაღლდეს ძე კაცისა, რათა ყოველი მისი მორწმუნე არ დაიღუპოს, არამედ ჰქონდეს საუკუნო სიცოცხლე. *იოან. 3 : 14, 15*

ესაა საუკუნო სიცოცხლე, რომ გიცნობდნენ შენ, ერთადერთ ჭეშმარიტ ღმერთს და ვინც შენ წარმოგზავნე — იესო ქრისტეს. *იოან. 17 : 3*

ვისაც ძე სწამს საუკუნო სიცოცხლე აქვს, ხოლო ურჩი ძისა ვერ იხილავს სიცოცხლეს, არამედ ღმერთის რისხვა დარჩება მასზე. *იოან. 3 : 36*

ვინაიდან ცოდვის საზღაური სიკვდილია, ხოლო ღმერთის მადლის ნიჭი — მარადიული სიცოცხლე ჩვენს უფალში, ქრისტე იესოში. *რომ. 6 : 23*

ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ვინც ჩემს სიტყვას ისმენს და ჩემი წარმოგზავნილი სწამს, მას აქვს საუკუნო სიცოცხლე და სასამართლოზე არ მიდის, მაგრამ სიკვდილიდან სიცოცხლეში გადავიდა. *იოან. 5 : 24*

. . . არამედ თავისი განზრახვით და მადლით, რომელიც მოგვეცა ჩვენ ქრისტე იესოში საუკუნო დროთა უწინ; ახლა კი გამოჩენილი ჩვენი მხსნელი ქრისტე იესოს გამოცხადებით, რომელმაც გაანადგურა სიკვდილი და სახარებით გაანათლა ცხოვრება და უხრწნელობა. *2 ტიმ. 1 : 9 ბ, 10*

სწორედ ეს სული ემოწმება ჩვენს სულს, რომ ღმერთის შვილები ვართ.
რომ. 8 : 16

და ეს არის მოწმობა, რომ ღმერთმა მოგვანიჭა საუკუნო სიცოცხლე და ეს სიცოცხლე მის ძეშია. ვისაც ძე ჰყავს აქვს სიცოცხლე; ვისაც ძე ღმერთისა არა ჰყავს, სიცოცხლე არა აქვს. ეს მოგწერეთ თქვენ, ძე ღმერთისას სახელის მორწმუნენო, რათა იცოდეთ, რომ გაქვთ საუკუნო სიცოცხლე.
1 იოან. 5 : 11–13

ვისაც ჩემი მცნებანი აქვს და იცავს მათ, მას ვუყვარვარ მე, და ვისაც მე ვუყვარვარ, შეყვარებული იქნება მამაჩემის მიერ და მეც შევიყვარებ მას და მას მე თვითონ გამოვეცხადები. *იოან. 14 : 21*

მაშინ სამართალი შეიქმს მშვიდობას და შვებას და მყუდროება იქნება სიმართლის ნაყოფი უკუნისამდე. *ეს. 32 : 17*

და რაკი თქვენ შვილები ხართ, ღმერთმა წარმოგზავნა თქვენს გულებში თავისი ძის სული, რომელიც შესძახის: აბბა მამაო!
გალ. 4 : 6

ჩვენ რომ მასში ვრჩებით და ის ჩვენში, იმით გავიგებთ, რომ თავისი სულისაგან მოგვცა მან. *1 იოან. 4 : 13*

და რომ შეიცანით იგი, იმით გავიგებთ, თუ დავიცავთ მის მცნებებს.
1 იოან. 2 : 3

ახლა შენთან მოვდივარ და ამას ქვეყნიერებაზე ვლაპარაკობ, რათა მათ ჰქონდეთ ჩემი სრულყოფილი სიხარული. *იოან. 17 : 13*

მაგრამ კვლავ გიხილავთ და გაიხარებს თქვენი გული და თქვენს სიხარულს ვერავინ წაგართმევთ. *იოან. 16 : 22 ბ*

ვინაიდან ღმერთის სასუფეველი საჭმელ-სასმელი კი არ არის, არამედ სიმართლე, მშვიდობა და სიხარული სულიწმიდით. *რომ. 14 : 17*

მე ქრისტესთან ერთად ჯვარცმული ვარ. მე უკვე აღარ ვცოცხლობ, არამედ ქრისტე ცოცხლობს ჩემში, და რომ ახლა ხორციელად ცოცხალი ვარ, ვცოცხლობ რწმენით, ღმერთის ძეში, რომელმაც მე შემიყვარა და თავი მისცა ჩემთვის. *გალ. 2 : 19 ბ, 20*

ეს ყველაფერი იმიტომ გითხარით, რომ ჩემი სიხარული იყოს თქვენში და იყოს თქვენი სიხარული სრულყოფილი. *იოან. 15 : 11*

მასწავლე გზა ცხოვრებისა, სისავსე სიხარულისა შენი სახის წინაშე, ნეტარება შენი მარჯვენით უკუნისამდე. *ფს. 15 : 11*

ვინც არ გინახავთ და გიყვართ, რომელიც, თუმცა ვერ ხედავთ და გწამთ; ხარობთ გამოუთქმელი და განდიდებული სიხარულით. *1 პეტ. 1 : 8*

თუ არ შეისმენთ უფლის სიტყვას და წინ აღუდგებით უფლის ნაბრძანებს, უფლის ხელი იქნება თქვენს წინააღმდეგ. როგორც თქვენი მამა-პაპის წინააღმდეგ იყო. *1 მეფ. 12 : 15*

ნუთუ არ იცით, რომ, ვისაც თქვენს თავს მისცემთ, რათა იყოთ მისი მონა-მორჩილი, მისი მონები ხართ, ვისაც დაემორჩილებით: ან ცოდვისა — სასიკვდილოდ, ან მორჩილებისა — სიმართლისათვის. *რომ. 6 : 16*

თქვენ კი, შეჭირვებულთ, — მოსვენება ჩვენთან ერთად უფალ იესოსთან გამოცხადებაში ციდან, მისი ძალის ანგელოზებითურთ, რომელიც ცეცხლის ალით იძიებს შურს მათზე, ვინც არ შეიცნო ღმერთი და არ ემორჩილება უფლის იესოს სახარებას, ვინც სასჯელად მიიზღავს მარადიულ დაღუპვას უფლის სახისაგან და მისი ძლიერების ძალის დიდებით. *2 თეს. 1 : 7–9*

უყურეთ, ასარჩევად გაძლევთ დღეს კურთხევას და შეჩვენებას: კურთხევას — თუ შეიგონებთ უფლის, თქვენი ღმერთის მცნებებს, რომელთაც გიცხადებთ დღეს, შეჩვენებას, თუ არ შეიგონებთ უფლის, თქვენი ღმერთის მცნებებს.

მეორე რჯლ. 11 : 26–28 ა

და ყოველმა ენამ აღიაროს, რომ იესო ქრისტე არის უფალი, მამა ღმერთის სადიდებლად. *ფილ. 2 : 11*

ყოველს, ვინც მე მაღიარებს ადამიანთა წინაშე, იმას მეც ვაღიარებ ჩემი ზეციერი მამის წინაშე. და რომელიც უარმყოფს მე ადამიანთა წინაშე, მას მეც უარვყოფ ჩემი ზეციერი მამის წინაშე. *მათ. 10 : 32, 33*

ასე შეიცანით ღმერთის სული: ყოველი სული, რომელიც აღიარებს ხორციელად მოსულ იესო ქრისტეს, ღმერთისაგან არის; *1 იოან. 4 : 2*

ვინც აღიარებს, რომ იესო არის ძე ღმერთისა, ღმერთი მასში რჩება და ის ღმერთში. *1 იოან. 4 : 15*

იმიტომ, რომ თუ შენი პირით აღიარებ, რომ იესო უფალია, და შენი გულით ირწმუნებ, რომ ღმერთმა აღადგინა იგი მკვდრეთით, გადარჩები. ვინაიდან გულით სწამთ სიმართლე, ხოლო პირით აღიარებენ გადასარჩენად. *რომ. 10 : 9, 10*

ყოველი, ვინც ძეს უარყოფს, არც მამა ჰყავს; ხოლო ვინც აღიარებს ძეს, მამაც ჰყავს. *1 იოან. 2 : 23*

რამეთუ, ვისაც შერცხვება ჩემი და ჩემი სიტყვების, ძე კაცისასაც შერცხვება მისი, როდესაც მოვა თავისი და მამისა და წმიდა ანგელოზების დიდებაში. *ლუკ. 9 : 26*

იყავით ფხიზელნი, მლვიძარენი, რადგან თქვენი მოწინააღმდეგე ეშმაკი დადის, როგორც მბრდღვინავი ლომი და ეძებს, ვინ ჩაყლაპოს. წინაღუდექით მას მტკიცე რწმენით. *1 პეტ. 5 : 8, 9 ა*

მაშინ სულმა წაიყვანა იესო უდაბნოში, რათა ეშმაკს ეცდუნებინა. მაშინ იესომ უთხრა: განვედ, სატანავ, ვინაიდან დაწერილია: უფალს, შენს ღმერთს ეცი თაყვანი და მხოლოდ მას ემსახურე. მაშინ მიატოვა იგი ეშმაკმა, და, აი, ანგელოზები მიუახლოვდნენ და ემსახურნენ მას. *მათ. 4 : 1, 10, 11*

დასასრულს, ჩემო ძმებო, გამაგრდით უფლით და მისი ძალის სიმტკიცით. შეიმოსეთ ღმერთის სრული საჭურველით, რათა შესძლოთ წინ აღუდგეთ ეშმაკის მზაკვრობას. *ეფეს. 6 : 10, 11*

ვინაიდან ჩვენი საომარი იარაღი ხორციელი არ არის, არამედ ძლიერია ღმერთის მიერ სიმაგრეთა დასანგრევად, იმით ვამხობთ ზრახვებს. *2 კორ. 10 : 4*

თქვენი მამა არის ეშმაკი და მამათქვენის გულისთქმის შესრულება გწადიათ. ის კაცისმკვლელი იყო თავიდან და ჭეშმარიტებაში ვერ დადგა, რადგან არაა მასში ჭეშმრიტება, როცა სიცრუეს ამბობს, თავისას ამბობს, რადგან ცრუა იგი და სიცრუის მამაა. *იოან. 8 : 44*

ვინაიდან მეც თუ ვინმეს რაიმე ვაპატიე, თქვენი გულისთვის ვაპატიე ქრისტეს სახის წინაშე, რათა ზიანი არ მოგვაყენოს სატანამ; ვინაიდან ჩვენთვის უცნობი არ არის მისი ზრახვები. *2 კორ. 2 : 10 ბ, 11*

რამდენადაც ბავშვები სისხლისა და ხორცის მოზიარენი არიან, მანაც მიიღო იგივე, რათა სიკვდილით გააქროს ვისაც სიკვდილის ძლიერება აქვს, ესე იგი ეშმაკი. *ებრ. 2 : 14*

ვინც ცოდვას სჩადის, იგი ეშმაკისაგან არის, რამეთუ თავდაპირველად ეშმაკმა შესცოდა. ამისათვის გამოჩნდა ძე ღმერთისა, რათა დაენგრია ეშმაკის საქმენი. *1 იოან. 3 : 8*

მათი თვალების ასახელად და წყვდიადიდან სინათლისაკენ, და სატანის ძალაუფლებიდან ღმერთისაკენ მოსაქცევად, რომ ჩემდამი რწმენით მიიღონ ცოდვების მიტევება და წილი განწმენდილებთან. *საქ. 26 : 18*

ვინ ჩამოგვაშორებს ქრისტეს სიყვარულს: ჭირი თუ შევიწროება, დევნა თუ შიმშილი, სიშიშვლე თუ საფრთხე ანდა მახვილი? მაგრამ ყოველივე ამას ვძლევთ ჩვენი მოყვარულის მეშვეობით. *რომ. 8 : 35, 37*

ამიტომ დაემორჩილეთ ღმერთს, წინაღუდექით ეშმაკს და გაიქცევა თქვენგან. მიუახლოვდით ღმერთს და მოგიახლოვდებათ თქვენ. *იაკ. 4 : 7, 8 ა*

ახლა ამქვეყნიერების სასამართლოა, ამ ქვეყნიერების მთავარი ახლა გარეთ გაიდევნება. *იოან. 12 : 31*

თუ მე ადამიანებისა და ანგელოზების ენებით ვლაპარაკობ, ხოლო სიყვარული არ გამაჩნია, მაშინ ჟღარუნა რვალი ვარ ან მჟღერი წინწილა. *1 კორ. 13 : 1*

ხოლო სულის ნაყოფია: სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, სულგრძელობა, სახიერება, სიკეთე, ერთგულება, რწმენა, თვინიერება, სიმშვიდე, თავშეკავება.

გალ. 5 : 22, 23 ა

მესამედ უთხრა: სიმონ იოანესავ, გიყვარვარ? პეტრე დანაღვლიანდა მესამედ რომ ჰკითხა: გიყვარვარ? და უთხრა მას: უფალო, შენ ყველაფერი იცი, იცი, რომ მიყვარხარ. იესომ უთხრა: აძოვე ჩემი ცხვრები. *იოან. 21 : 17*

თუ მე გიყვარვართ, ჩემი მცნებანი დაიცავით. *იოან. 14 : 15*

თუ ვინმე ამბობს ღმერთი მიყვარს, თავისი ძმა კი სძულს, იგი მატყუარაა, ვინაიდან, ვისაც არ უყვარს თავისი ძმა, რომელსაც ხედავს, როგორ შეუძლია უყვარდეს ღმერთი, რომელსაც ვერ ხედავს? *1 იოან. 4 : 20*

ჩემი მოწაფეები რომ ხართ, იმით გაიგებენ ყველანი, თუ სიყვარული გექნებათ ურთიერთშორის. *იოან. 13 : 35*

ჩვენ ვიცით, რომ სიკვდილიდან სიცოცხლეში გადავედით, იმიტომ რომ გვიყვარს ძმები; ვისაც არ უყვარს, სიკვდილში რჩება. *1 იოან. 3 : 14*

ვინაიდან ღმერთის სიყვარული ისაა, რომ ვიცავდეთ მის მცნებებს; ხოლო მისი მცნებანი მძიმე როდია. *1 იოან. 5 : 3*

კვირის პირველ დღეს ადრე აღმდგარი პირველად ეჩვენა მარიამ მაგდალინელს, რომლისგანაც განდევნა შვიდი ეშმაკი. *მარკ. 16 : 9*

რომელიც მიეცა ჩვენი ცოდვებისათვის და აღდგა ჩვენდა გასამართლებლად. *რომ. 4 : 25*

და ჩვენ ყველაფრის მოწმენი ვართ, რაც მან გააკეთა იუდეას ქვეყანაში და იერუსალიმში, და რომ ბოლოს იგი მოკლეს ძელზე ჩამოკიდებით. იგი ღმერთმა აღადგინა მესამე დღეს და მისცა მას რომ გამოეცხადოს არა მთელ ხალხს, არამედ ღმერთის მიერ წინასწარ ამორჩეულ მოწმეებს, ჩვენ, რომლებიც მასთან ვჭამდით და ვსვამდით მისი მკვდრეთით აღდგომის შემდეგ. *საქ. 10 : 39–41*

რვა დღის შემდეგ მისი მოწაფეები კვლავ შინ იყვნენ და თომაც მათთან. მოვიდა იესო, როდესაც კარები დაკეტილი იყო, დადგა შუაში და თქვა: მშვიდობა თქვენდა. შემდეგ თომას ეუბნება: მოიტანე აქ შენი თითი და იხილე ჩემი ხელები. მოიტანე შენი ხელი და ჩადე ჩემს ფერდში. ურწმუნო კი არა, არამედ მორწმუნე იყავ. თომამ უთხრა მას პასუხად: უფალო ჩემო და ღმერთო ჩემო! *იოან. 20 : 26–28*

მოდის ჟამი, და ახლა არის, როცა მკვდრები მოისმენენ ღმერთის ძის ხმას და მსმენელნი გაცოცხლდებიან. ნუ გაიკვირვებთ ამას, რადგან მოდის ჟამი, როდესაც ყველანი, ვინც სამარხებში არიან, მის ხმას მოისმენენ. და კეთილის მოქმედნი სიცოცხლის აღდგენაში გამოვლენ, სიავის მქმნელნი კი სასამართლოს აღდგენაში. *იოან. 5 : 25 ბ, 28, 29*

ნუთუ არ იცით, რომ ყველანი, ვინც მოვინათლეთ ქრისტე იესოში, მის სიკვდილში მოვინათლეთ? ამიტომ დავიმარხეთ მასთან სიკვდილში ნათლობით, რათა, როგორც მამის დიდებით მკვდრეთით აღდგა ქრისტე, ჩვენც ვიაროთ სიცოცხლის განახლებით. ვინაიდან, თუ დავენერგეთ მას სიკვდილის მსგავსებაში, ასევე ვიქნებით მისი აღდგომისას. *რომ. 6 : 3–5*

და თუ ქრისტე თქვენშია, სხეული მკვდარია ცოდვისათვის, ხოლო სული ცოცხალია სიმართლისათვის. ხოლო თუ თქვენში იმყოფება მისი სული, ვინც მკვდრეთით აღადგინა იესო, მაშინ ის, ვინც ქრისტე იესო აღადგინა მკვდრეთით, თქვენს მოკვდავ სხეულებსაც გააცოცხლებს თავისი სულით, რომელიც თქვენშია დამკვიდრებული. *რომ. 8 : 10, 11*

. . . ვინაიდან მისცა თავის ხალხს და მოუმზადა მას გამოსყიდვა. უშიშრად, ჩვენი მტრების ხელიდან დახსნით, ვემსახუროთ მას სიწმინდით და სიმართლით მის წინაშე ჩვენს ყველა დღეებში.

ლუკ. 1 : 68 ბ, 74, 75

ამიტომ, ჩემო საყვარელნო, როცა ასეთი აღთქმანი გვაქვს, განვიწმინდოთ ხორცისა და სულის ყოველგვარი სიბილწისაგან, ღმერთის მოშიშებით აღვასრულოთ სიწმინდე. *2 კორ. 7 : 1*

კიდევ გთხოვთ, ძმებო, და შეგაგონებთ უფალ იესოში, მიიღეთ რა ჩვენგან, როგორ უნდა მოიქცეთ და ასიამოვნოთ ღმერთს, რათა უფრო მეტად ამრავლოთ. რამეთუ იცით, როგორი მცნებანი მოგეცით თქვენ უფალ იესოსაგან, ვინაიდან ღმერთის ნებაა თქვენი განწმენდა, რათა განერიდოთ სიძვას, რათა ყოველმა თქვენგანმა იცოდეს თავისი ჭურჭლის შენახვა სიწმინდით და პატივით ვინაიდან ღმერთმა მოგვიწოდა ჩვენ არა უწმინდურებისაკენ, არამედ სიწმინდისაკენ.

1 თეს. 4 : 1–4, 7

არამედ თვითონაც იყავით წმიდანი ყოველ ქცევაში, როგორც წმიდაა იგი, ვინც თქვენ მოგიწოდათ. რადგან წერია: იყავით წმიდანი, რამეთუ წმიდა ვარ მე.

1 პეტ. 1 : 15, 16

ამიტომ იესოც, რათა წმიდაეყო ხალხი თავისი სისხლით, ეტანჯა ჭიშკრის გარეთ. *ებრ. 13 : 12*

როგორც ამოგვირჩია ჩვენ მასში ქვეყნიერების შექმნის წინ, რათა წმიდანი და უბიწონი ვიყოთ მის წინაშე სიყვარულით. და შეიმოსეთ ახალი კაცი, რომელიც შექმნილია ღმერთისამებრ სიმართლით და ჭეშმარიტების სიწმიდით. *ეფეს. 1 : 4; 4 : 24*

შარაგზა იქნება იქ და წმინდა გზა დაერქმევა მას; უწმინდური იქ ვერ გაივლის; გზიანად მავალისთვის იქნება იგი და ბრიყვები არ იყიალებენ. *ეს. 35 : 8*

> თუ ვაღიარებთ ჩვენს ცოდვებს, მაშინ ის, ერთგული და მართალი, მოგვიტევებს ცოდვებს და გაგვწმენდს ყოველგვარი უმართლობისაგან.
> *1 იოან. 1 : 9*

და თუ ყოველივე ასე დაინგრევა, როგორღა უნდა იყოთ წმიდა ქცევით და ღვისმოსაობით თქვენ. *2 პეტ. 3 : 11*

ეცადეთ იქონიოთ ყველასთან მშვიდობა და სიწმინდე, ურომლისოდაც ვერავინ იხილავს უფალს. *ებრ. 12 : 14*

უძღვენით უფალს მისი სახელის დიდება; თაყვანი ეცით უფალს წმინდა ბრწყინვალებით. *ფს. 28 : 2*

ჰოდა, თუ თქვენ, ბოროტებმა, იცით კეთილ მისაცემთა მიცემა თქვენი შვილებისადმი, მით უმეტეს. ზეციერი მამა მისცემს სულიწმიდას, ვინც სთხოვს.

ლუკ. 11 : 13

და როცა ლოცულობდნენ, შეიძრა ის ადგილი, სადაც ისინი იყვნენ შეკრებილნი, და ყველანი აღივსნენ სულიწმიდით და გაბედულად ლაპარაკობდნენ ღმერთის სიტყვას. *საქ. 4 : 31*

ჩემს სულს ჩაგიდგამთ შიგნით და ისეთებს გაგხდით, რომ ჩემს წესებზე იაროთ და ჩემი სამართალი აღასრულოთ. *იეზ. 36 : 27*

ხოლო თქვენ ხორციელად მყოფნი კი არა ხართ, არამედ სულიერად, თუკი სული ღმერთისა დამკვიდრებულია თქვენში. მაგრამ ვისაც ქრისტეს სული არა აქვს, იგი არც არის მისი. *რომ. 8 : 9*

არამედ თქვენ მიიღებთ ძალას, როდესაც მოვა სულიწმიდა თქვენზე და იქნებით ჩემი მოწმენი. *საქ. 1 : 8 ა*

ვინაიდან იგი იყო კეთილი კაცი, და სავსე სულიწმიდით და რწმენით.

საქ. 11 : 24 ა

ხოლო მოწაფეები აღივსნენ სიხარულით და სულიწმიდით. *საქ. 13 : 52*

ნუ დაითვრებით ღვინით, რომელშიც აღვირახსნილობაა, არამედ აღივსენით სულით. *ეფეს. 5 : 18*

ახლოა უფალი გულმოდრეკილებთან და სულით მორჩილებს იხსნის.
ფს. 33 : 19

ჩემმა ხელმა შექმნა ეს ყველაფერი და ასე გაჩნდა ეს ყველაფერი, ამბობს უფალი. აი, ვის მივაპყრობ მზერას — გლახაკს და სულგამწარებულს, ჩემი სიტყვების მოშიშს. *ეს. 66 : 2*

ხოლო იესომ უთხრა: „თუკი რამე შეგიძლია?“ — მორწმუნისათვის შესაძლებელია ყველაფერი. *მარკ. 9 : 23*

საყვარელნო, ნუ გაიკვირვებთ ცეცხლს, რომელიც თქვენს შორისაა და იგზავნება თქვენს გამოსაცდელად, თითქოს უცნაური რამ მოგსვლოდეთ. არამედ გიხაროდეთ, როგორც ქრისტეს ტანჯვათა მოზიარეებს, რათა თქვენც იხაროთ და იმხიარულოთ მისი დიდების გამოცხადებისას. *1 პეტ. 4 : 12, 13*

და მოსწმედს ყოველგვარ ცრემლს, მათი თვალებიდან და აღარ იქნება სიკვდილი, გლოვა, გოდება და ტკივილიც აღარ იქნება; ვინაიდან პირველებმა გადაიარეს. *გამოც. 21 : 4*

მიენდე უფალს და ჰქმენ კეთილი; დაემკვიდრე ქვეყანაზე და მისდიე ჭეშმარიტებას. *ფს. 36 : 3*

თქვენ კი უწინარეს ეძიეთ ღმერთის სასუფეველი და მისი სიმართლე, და ყოველივე ეს შეგემატებათ თქვენ. მათ. 6 : 33

ვინაიდან როგორც თვითონ იტანჯა და გამოიცადა, ისე შეუძლია დაეხმაროს განსაცდელში მყოფთ. *ებრ. 2 : 18*

ხოლო მშვიდობის ღმერთი მალე თქვენს ფეხებქვეშ შემუსრავს სატანას. *რომ. 16 : 20 ა*

როცა წყლებს გადახვალ, შენთან ვიქნები, და მდინარეებს — არ წაგიღებენ; როცა ცეცხლში შეხვალ არ დაიწვები და ალი არ მოგეკიდება. *ეს. 43 : 2*

არ შეგმთხვევიათ განსაცდელი, გარდა ადამიანურისა; და ერთგულია ღმერთი, რომელიც არ დაუშვებს, რომ თქვენს შესაძლებლობაზე მეტად გამოიცადოთ, არამედ განსაცდელისას გამოსავალსაც მოგცემთ, რომ შესძლოთ გადატანა. *1 კორ. 10 : 13*

მრავალი სიავე ხვდება მართალს, და ყველაფრისაგან იხსნის უფალი. *ფს. 33 : 20*

ჩვენ კი ვიცით, რომ ღმერთის მოყვარულებს, მისი განზრახვით მოწოდებულებს ყოველივე ეწევა სასიკეთოდ. *რომ. 8 : 28*

ვინაიდან გვყავს არა ისეთი მღვდელმთავარი, რომელმაც ვერ შესძლოს თანაგრძნობა ჩვენ უძლურებებში, არამედ, რომელიც ჩვენთვის გამოიცადა ყველაფერში, გარდა ცოდვისა. *ებრ. 4 : 15*

ვინც გაიმარჯვებს დაიმკვიდრებს ამას, მე მისთვის ღმერთი ვიქნები და ის ჩემთვის ძე. *გამოც. 21 : 7*

ვინც გაიმარჯვებს გავხდი სვეტად ჩემი ღმერთის ტაძარში, და იგი აღარ გავა გარეთ; მე მასზე დავწერ ჩემი ღმერთის სახელს და ჩემი ღმერთის ქალაქის, ახალი იერუსალიმის სახელს, რომელიც ციდან ჩამოდის ჩემი ღმერთისაგან, და ჩემს ახალ სახელს. *გამოც. 3 : 12*

ვინც გაიმარჯვებს ჩაიცვამს თეთრ სამოსელს და მის სახელს არ ამოვშლი სიცოცხლის წიგნიდან და ვაღიარებ მის სახელს ჩემი მამის წინაშე და მისი ანგელოზების წინაშე. *გამოც. 3 : 5*

ვინც გაიმარჯვებს, მივცემ დაჯდეს ჩემთან, ჩემს ტახტზე, ისევე, როგორც მე გავიმარჯვე და დავჯექი ჩემს მამასთან მის ტახტზე. *გამოც. 3 : 21*

ვისაც ყური აქვს, ისმინოს, რას ეუბნება სული ეკლესიებს: ვინც გაიმარჯვებს, მივცემ საჭმელს სიცოცხლის ხისგან, რომელიც ღმერთის სამოთხეშია.

ვინც იმარჯვებს და ბოლომდე იცავს ჩემს მცნებებს, მას მივცემ ძალაუფლებას წარმართებზე. *გამოც. 2 : 26*

ხოლო დაქორწინებულებს ვამცნებ, — არა მე, არამედ უფალი: ცოლი არ გაეყაროს ქმარს, ხოლო თუ გაეყაროს, დაე, უქორწინოდ დარჩეს, ანდა ქმარს შეურიგდეს, და ქმარი ნუ დატოვებს თავის ცოლს. ცოლი (სჯულით) შეკრულია, სანამ ცოცხალია მისი ქმარი, ხოლო თუ ქმარი მოუკვდება, თავისუფალია, გაჰყვეს ვისაც სურს, ოღონდ უფალში.

1 კორ. 7 : 10, 11, 39

რამეთუ ქმრიანი დედაკაცი სჯულით დაკავშირებულია ცოცხალ ქმართან, ხოლო თუ ქმარი მოკვდება, თავისუფალია ქმრის სჯულისაგან. ამიტომ, თუ ქმრის სიცოცხლეში სხვა ქმრისა გახდება, მრუში ეწოდება, ხოლო თუ ქმარი მოკვდება, სჯულისაგან თავისუფალია და სხვა კაცისად გახდომა მრუშობად არ ჩაეთვლება.

რომ. 7 : 2, 3

ყოველი, ვინც თავის ცოლს გაუშვებს და სხვას შეირთავს, მრუშობს, და ვინც ქმრის მიერ გაშვებულს შეირთავს, მრუშობს.

ლუკ. 16 : 18

მე კი გეუბნებით თქვენ: ყოველი, ვინც თავის ცოლს გაუშვებს სიძვის მიზეზის გარეშე, ის მას მრუშობის მიზეზს აძლევს. ვინც გაშვებულს შეირთავს, მრუშობს.

მათ. 5 : 32

როდესაც წავალ და ადგილს მოგიმზადებთ, ისევ მოვალ და ჩემთან წაგიყვანთ, რათა, სადაც მე ვარ, იყოთ თქვენც. *იოან. 14 : 3*

მაშინ გამოჩნდება ძე კაცისას ნიშანი ზეცაში და მაშინ მოჰყვება მოთქმას დედამიწის ყველა ტომი, და იხილავენ ძე კაცისას — ცის ღრუბლებზე მომავალს დიადი ძალითა და დიდებით. *მათ. 24 : 30*

რამეთუ, ვისაც შერცხვება ჩემი და ჩემი სიტყვების, ამ მრუშ და ცოდვილ მოდგმაში, ძე კაცისას შერცხვება მისი, როდესაც მოვა თავისი მამის დიდებაში წმიდა ანგელოზებით. *მარკ. 8 : 38*

საყვარელნო! ახლა ღმერთის შვილნი ვართ; ოღონდ ჯერ არ გამომჟღავნებულა, რანი ვიქნებით, რამეთუ ვიხილავთ მას, როგორიც არის და ყოველმა, ვისაც ეს იმედი აქვს მისი, განიწმინდოს თავისი თავი, როგორც ისაა წმიდა.

1 იოან. 3 : 2, 3

ამიტომ, თქვენც მზად იყავით, ვინაიდან, რომელ საათსაც არ ფიქრობთ, მაშინ მოვა ძე კაცისა. *ლუკ. 12 : 40*

ვინაიდან მოვა ძე კაცისა თავისი მამის დიდებით თავის ანგელოზებთან ერთად და მაშინ მიუზღავს თითოეულ კაცს მათი ნამოქმედარის მიხედვით.

მათ. 16 : 27

ცა და დედამიწა გადაივლიან, ჩემი სიტყვები კი არ გადაივლიან.

ლუკ. 21 : 33

ვინაიდან წინასწარმეტყველება არასოდეს წარმოთქმულა ადამიანის ნებით, არამედ ადამიანები სულიწმიდის მიერ ამოქმედებულნი, წარმოთქვამდნენ მას ღმერთისაგან. *2 პეტ. 1 : 21*

მთელი წერილი ღვთივსულიერია და სასარგებლოა სასწავლებლად, სამხილებლად, გამოსასწორებლად, დასარიგებლად სიმართლეში. *2 ტიმ. 3 : 16*

ლამპარია ჩემი ფეხისათვის სიტყვა შენი და სინათლე — ჩემი ბილიკისათვის.

ფს. 118 : 105

თქვენ კი ასე ილოცეთ: მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყოს სახელი შენი; და მოვიდეს სუფევა შენი, და იყოს ნება შენი ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა; პური ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ დღეს; და მოგვიტევე ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა; და ნუ შეგვიყვანებ ჩვენ განსაცდელსა, არამედ გვიხსენ ჩვენ ბოროტისაგან (რამეთუ შენი არს სუფევა და ძალი და დიდება საუკუნეთა მიმართ. ამინ). ვინაიდან, თუ თქვენ მიუტევებთ ადამიანებს მათ შეცოდებებს, თქვენც მოგიტევებთ თქვენი ზეციერი მამა. ხოლო თუ თქვენ არ მიუტევებთ ადამიანებს მათ შეცოდებებს, არც თქვენი მამა მოგიტევებთ თქვენს შეცოდებებს. *მათ. 6 : 9–15*

გადარჩენის ღმერთისეული გეგმა

მე მჭირდება მხსნელი.

ვინაიდან ყველამ შესცოდა და მოკლებული არიან ღმერთის დიდებას.

— რომ. 3 : 23

ქრისტე მოკვდა ჩემთვის.

რადგან ქრისტე მოკვდა ერთხელ ჩვენი ცოდვების გამო, მართალი უმართლოთა გამო, რათა მოვეყვანეთ ღმერთთან. *— 1 პეტ. 3 : 18 ა*

მე მჭირდება მონანიება.

ვინც თავის ცოდვებს მალავს, ხელი არ მოემართება, ხოლო ვინც მათ აღიარებს და მიატოვებს, შეწყალებულ იქნება. *— იგავ. 28 : 13*

მე უნდა მივიღო ქრისტე რწმენით.

ხოლო ყველას, ვინც მიიღო იგი, მისი სახელის მორწმუნეს, მისცა ძალაუფლება გამხდარიყვნენ ღმერთის შვილები. *— იოან. 1 : 12*

მე შემიძლია დარწმუნებული ვიყო გადარჩენაში.

ვისაც ძე (ღმერთისა) ჰყავს, აქვს სიცოცხლე. *— იოან. 5 : 12 ა*

ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ვინც ჩემს სიტყვებს ისმენს და ჩემი წარმომგზავნელის სწამს, მას აქვს საუკუნო სიცოცხლე და სასამართლოზე არ მიდის, მაგრამ სიკვდილიდან სიცოცხლეში გადავიდა. *— იოან. 5 : 24*

Published in numerous languages by World Missionary Press, Inc., as God supplies funds in answer to prayer. **For questions or more information by country, visit: www.wmp-contacts.org**

საჩუქარი

ვრცელდება უფასოდ
ან ეკვემდებარება
გაყიდვას

World Missionary Press
PO Box 120
New Paris, IN 46553-0120 USA
www.wmpress.org

4-25

Read booklets online or by App
www.wmp-readonline.org
298 Georgian HFA